

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო
საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი № 43

25 იანვარი 2019 წ.

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

11:00 სთ

სხდომა ჩატარდა სარევიზიო და ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და
საერთაშორისო ურთიერთობების კომისიებთან ერთად.

მოწვეული სტუმრები:

საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი -გაიოზ თალაკვაძე

საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე- ლევან მიქავა

სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსი- ირაკლი თავართქილაძე

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:
კომისიის წევრები: ლევან არველაძე; რამინა ბერაძე, ალექსანდრე ხუჯაძე, დავით უთმელიძე;
ლევან დარაზველიძე, ირაკლი ნადირაძე, გოჩა თევდორაძე, ვახტანგ შაქარიშვილი.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, რადგან
სხდომას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა.

გამომდინარე იქედან, რომ ირაკლი ზარქუა იმყოფებოდა შვებულებაში, კომისიის წევრებმა
კენჭი უყარეს სხდომის თავმჯდომარედ დავით უთმელიძის კანდიდატურას.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა
გადაწყვეტილებით სხდომას თავმჯდომარეობდა დავით უთმელიძე.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას, გააცნო დღის წესრიგი
და აღნიშნა, რომ დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხს განიხილავს ყველა
კომისია, ხოლო დანარჩენის საკითხების განხილვას განაგრძობს ქონების მართვის და
საფინანსო საბიუჯეტო კომისია.

დღის წესრიგი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №34-115
დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ. №12-031902271-03
2. საფინანსო-საქალაქო სამსახურის წერილი (№15-03190155-03 15.01.2019წ; #15-
03190241 24.01.2019წ) „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის
დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამის
ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ“
3. ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზირზე, კომპლექსი I, კორპუს №3-ში
(საკ/კოდი; №01.19.35.005.010.011) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით
პრივატიზების თაობაზე. №12-0318362107-03 28.12.2018წ

4. ქალაქ თბილისში, ლილოს დასახლების IV კვარტლის კორპ.№2ა-ში (საკ/კოდი: №01.19.27.007.004.02.035) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე. №12-0318362107-03 28.12.2018წ
5. ქალაქ თბილისში, საქსოფმანქანის დასახლების IV კვარტლის კორპ.№5-ში (საკ/კოდი: №01.19.27.007.013.01.016) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე. №12-0318362107-03 28.12.2018წ
6. ქალაქ თბილისში, გლდანის დასახლების VII მ/რ-ის კორპ.№10ა-ში, პირველ სართულზე (საკ/კოდი: №01.11.10.005.021.04.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე. №12-0318362107-03 28.12.2018წ
7. ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი №189-ში (საკ/კოდი: №01.13.07.023.053.01.526) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე. №12-0318362107-03 28.12.2018წ
8. ქალაქ თბილისში, მარუაშვილის ქ.№50-ში (საკ/კოდი: №01.16.02.014.10) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე. №12-0318362107-03 28.12.2018წ
9. ქალაქ თბილისში, ხუდადოვის ქ.№173, კორპ.№4-ში (საკ/კოდი: №01.16.09.001.004) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე. №12-0318362107-03 28.12.2018წ
10. ქალაქ თბილისში, სანდრო ეულის ქ.№3-ში მდებარე 834 კვმ მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.14.05.007.467) და ქალაქ თბილისში, სანდრო ეულის ქ.№3-ში მდებარე 8520 კვმ მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული №1, №2, №3, №4 შენობა-ნაგებობების (ს/კ: №01.14.05.007.059) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე. (№12-031900346-03 03.01.2019წ)
11. ქალაქ თბილისში, ბაგების სატყეო უბანში (ნაკვეთი №11/22); ქალაქი თბილისი, ბაგების სატყეო უბანი (ნაკვეთი №11/17) 800 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი: 01.14.08.011.173) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე. №12-0319009174-03 09.01.2019წ
12. ქალაქ თბილისში, თამარაშვილის შესახვევი №8-ის მიმდებარედ, თამარაშვილის შესახვევი №6-ში თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 821 კვმ მიწის ნაკვეთის და შენობა-ნაგებობა №3-ის (ფართით 30 კვმ), შენობა-ნაგებობა №8-ის (ფართით 28.89 კვმ), შენობა-ნაგებობა №4-ის (ფართით 69.53 კვმ (მ.შ. სარდაფი 11.46 კვმ I სართულზე 58.07 კვმ)), შენობა-ნაგებობა №5-ის (ფართით 21.01 კვმ); შენობა-ნაგებობა №9-ის (ფართით 3.47 კვმ); შენობა-ნაგებობა №1-ის (ფართით 2.09 კვმ); შენობა-ნაგებობა №7-ის (ფართით 29.37 კვმ) და შენობა-ნაგებობა №6-ის (ფართით 33.81 კვმ) (საკ/კოდი: 01.14.07.008.137) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და იამზე მასისა და მასის (პ/ნ 62001007924) და ნონა ბაქრამესთან (პ/ნ 01008030050) გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტის შეთანხმების თაობაზე. №15-03190155-03 15.01.2019წ
13. ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზ.№27 ბ-ში მდებარე 64 კვმ მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: 01.10.15.007.145) 40 კვმ მიწის ნაკვეთის სს „დი ენდ ბი საქართველოსთვის“ (ს/კ 404917131) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე. №12-0319018-03 10.01.2019წ

14. ქალაქ თბილისში, ჭავჭავაძის ჩიხი №37-ის მიმდებარედ არსებული უძრავი ქონების (ს/კ : 01.14.14.005.163) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე. №12-0319018-03 10.01.2019წ

15. ქალაქ თბილისში, დიდი დიდმის დასახლება, შალვა ახალციხელის ქუჩა №35-ში არსებული 387 კვმ მიწის ნაკვეთის (სა/კოდი: 01.10.07.001.052) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე. №12-0319018-03 10.01.2019წ

16. ქ. თბილისში, ტაბიძის ქუჩა N10-ის მიმდებარედ არსებული 173კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ N01.15.05.075.015) შპს „ფუდ ენდ ბევერიჯ ჯორჯიასთვის (ს/კ 405190742) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 4 ივლისის N18.492.792 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ. №12-03190107-03 10.01.2019წ

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრების მიერ დღის წესრიგი დამტკიცებული იქნა.

მოხმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №34-115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში ცვლილებები, კომისიის წევრებს წარუდგინა გაიოზ თალაკვაძემ. მან აღნიშნა, რომ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება 2018 წელს ფაქტიურად მიღებული შემოსავლებისა და 2019 წლის 1 იანვრისათვის თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული ნაშთების გამოყენების გავალისწინებით. შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა იზრდება სულ 72 650,3 ათასი ლარით და შეადგენს 1 000 281,8 ათას ლარს, მათ შორის სხვა შემოსავლები იზრდება - 9 500,0 ათასი ლარით, არაფინანსური აქტივების კლება - 1 000,0 ათასი ლარით და ნაშთის ცვლილება - 62 150,3 ათასი ლარის ოდენობით. აქედან, ბიუჯეტის მიმდინარე ანგარიშზე არსებული ნაშთი 57 804,9 ათასი ლარი და 2018 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გზების რეაბილიტაციის მიზნით გამოყოფილი თანხებიდან არსებული ნაშთი 4 345,4 ათასი ლარი (საქართველოს მთავრობის განკარგულება N1205).

გარდა ამისა წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულის და დიდუბის რაიონის გამგეობის დამატებითი მოთხოვნების შესახებ წინადადებები.

ბიუჯეტის შემოსულობების ზრდისა და ნაშთის გამოყენების გათვალისწინებით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებსა და ქვეპროგრამებზე, მათ შორის:

იზრდება შემდეგი პროგრამის/ქვეპროგრამის ასიგნებები:

გზების მშენებლობა და აღდგენა (კოდი 01 01 01) ქვეპროგრამის ასიგნებები - 65 132,6 ათასი ლარით, მათ შორის ილია ჭავჭავაძის გამზირის, ო. ხიზანიშვილის, ი. ვეკუას ქუჩების და კახეთის გზატკეცილის სარეაბილიტაციო სამუშაოებისა და მუხრან მაჭავარიანი - მარშალ გელოვანის ქუჩების დამაკავშირებელი ახალი გზის მშენებლობისათვის; 2018 წელს დაწყებული პროექტების დასაფინანსებლად იზრდება საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია (კოდი 02 01) პროგრამის ასიგნება - 5 603,1 ათასი ლარით და კეთილმოწყობის საქალაქო ღონისძიებები (კოდი 02 09 01) ქვეპროგრამის ასიგნებები - 1 014,6 ათასი ლარით; კეთილმოწყობის ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი 02 09 12)

ქვეპროგრამის ასიგნებები - 80,0 ათასი ლარით, რაიონის ტერიტორიაზე არსებული სკვერების აღსადგენად; სპორტული ღონისძიებები (კოდი 08 06 01) ქვეპროგრამის ასიგნებები - 700,0 ათასი ლარით, მათ შორის, ახალგაზრდული სპორტული ფესტივალის, კალათბურთში ევროპისა და ღია ჩემპიონატების ჩასატარებლად; შემოქმედებითი თბილისი (კოდი 08 09) პროგრამის ასიგნებები - 120,0 ათასი ლარით, სხვადასხვა პროექტების დასაფინანსებლად.

ბიუჯეტის ცვლილებების განხილვა წარმართა კითხვა პასუხის რეჟიმში.

შეკითხვები ქონდათ ირაკლი ნადირაძეს, ლევან ხაბეიშვილს, ლევან არველაძეს.

ლევან ხაბეიშვილი დაინტერესდა, თუ რატომ არ იზრდება ბიუჯეტში ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამები, პრიორიტეტული არ არის? , ხოლო ირაკლი ნადირაძე დაინტერესდა რატომ არ გაიზარდა ბიუჯეტში „ავარიული შენობების გამაგრების“ პროგრამის ასიგნებები და რამ გამოიწვია ბიუჯეტში 62 150,3ათასი ლარის ნაშთის არსებობა. ასევე რამ გამოიწვია შემოსავლების ნაწილში, სანქციების (ჯარიმები და საურავები) 2 000,0 ათასი ლარით გაზრდა.

მათ შეკითხვებზე განმარტეს გაიოზ თალაკვაძემ, რამინა ბერაძემ, დავით უთმელიძემ.

შეკითხვების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანის შესახებ.

კომისიის წევრებმა კენჭი უყარეს წარმოდგენილი საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მომხრე-6. წინააღმდეგი-ირაკლი ნადირაძე; გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობით გადაწყდა : ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №34-115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკრებულოს დადგენილების პროექტი, გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.(მომხრე-7; წინააღმდეგი-ირაკლი ნადირაძე)

მოისმინეს: საფინანსო-საქალაქო სამსახურის წერილები (№15-03190155-03 15,01,2019წ; #15-03190241 24.01.2019წ) „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ“

საკითხი კომისიის წევრებს წარუდგინა ლევან მიქავამ.

ლევან მიქავას განმარტებით, ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის მიერ განხორციელდა გამოფენა-გაყიდვა საახალწლოდ „საშობაო ბაზარის“-ს მოწყობა მცირე მეწარმეების ხელსაწყოების მიზნით და ითხოვენ საერთო ჯამში 40 000 ლარის გადმოტანას პირველ კვარტალში მეორე და მესამე კვარტლებიდან, გარდა ამისა შპს „სი-ტი პარკის“ მიერ 2018 წლის 10 აპრილამდე გამოწერილი საჯარიმო ოქმების საფუძველზე დეკემბრის თვეში ბიუჯეტში ჩარიცხულია 89 590,34 ლარი, ხოლო ხელშეკრულების პირობების მიხედვით კომპანიას უნდა აუნაზღაურდეს 37 227,74 ლარი. ვინაიდან 2019 წლის ბიუჯეტში არ არის გათვალისწინებული შესაბამისი ქვეპროგრამა, შეიქმნა „ავტოსატრანსპორტო საშუალებათა პარკირების რეგულირება“ (კოდი 01 02 04) დამატების აუცილებლობა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

მომხრე-8

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილებით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების გადანაწილების

შესახებ“, სადაც თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური ითხოვს პროგრამაში „თბილისი-საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში“ საერთო ჯამში 40000 ლარის გადმოტანას მეორე და შესამე კვარტლებიდან და საფინანსო საქალაქო სამსახური ითხოვს 2019 წლის ბიუჯეტში ქვეპროგრამის „ავტოსატრანსპორტო საშუალებათა პარკირების რეგულირება“ (კოდი 01 02 04) დამატებას, შესაბამისად თანხის 37 227,74 ლარის დამატებას, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს:

“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად მიეცეს თანხმობა მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის მიერ წარმოდგენილი წერილების დანართების შესაბამისად პროგრამა/ქვეპროგრამების ასიგნებების გადანაწილების ცვლილებას.

დღის წესრიგით წარმოდგენილი ქონების საკითხები კომისიის წევრებს წარუდგინა ირაკლი თავართქილაძემ.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზირზე, კომპლექსი I, კორპუს №3-ში (საკ/კოდი; №01.19.35.005.010.011) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის განმარტებით, მოქალაქე ლელა ბუხრაშვილს, რომელიც დიდი ხანია ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე, სიმბოლურ ფასად ერთ ლარად გადაეცემა 45 კვმ ფართი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მომხრე-6 გოჩა თევდორაძემ და ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით, რეკომენდაცია მიეცა „ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზირზე, კომპლექსი I, კორპუს №3-ში (საკ/კოდი; №01.19.35.005.010.011) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ლილოს დასახლების IV კვარტლის კორპ. №2ა-ში (საკ/კოდი: №01.19.27.007.004.02.035) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

მოქალაქე იამზე გვიდიანს, სიმბოლურ ფასად გადაეცემა ლილოს დასახლების IV კვარტლის კორპ. #2 ა-ში, პირველ სართულზე 81,25 კვმ. შსს წერილობითი ინფორმაციით მოქალაქე ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს აღნიშნულ ფართს.

მომხრე-6 გოჩა თევდორაძემ და ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო. ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით, რეკომენდაცია მიეცა ‘ქალაქ თბილისში, ლილოს დასახლების IV კვარტლის კორპ. №2ა-ში (საკ/კოდი: №01.19.27.007.004.02.035) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი

განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, საქსოფმანქანის დასახლების IV კვარტლის კორპ.№5-ში (საკ/კოდი: №01.19.27.007.013.01.016) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

მოქალაქე ნარგიზ უზნაძეს, სიმბოლურ ფასად გადაეცემა საკუთრებაში საქსოფმანქანის დასახლების IV კვარტლის კორპ.#5-ში მდებარე 16 კვმ ფართი. მოქალაქე დიდი ხნის განმავლობაში ფლობს აღნიშნულ ფართს.

მომხრე-6 გოჩა თევდორაძემ და ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით, რეკომენდაცია მიეცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, გლდანის დასახლების VII მ/რ-ის კორპ.№10ა-ში, პირველ სართულზე (საკ/კოდი: №01.11.10.005.021.04.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

მოქალაქე ანა ფოცხვერაშვილს, სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაეცემა, გლდანის დასახლების VII მ/რ-ის კორპ.№10ა-ში, პირველ სართულზე 35,52 კვმ ფართი. ანა ფოცხვერაშვილი დიდი ხნის განმავლობაში ფლობს აღნიშნულ ფართს.

მომხრე-6 გოჩა თევდორაძემ და ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით, რეკომენდაცია მიეცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი №189-ში (საკ/კოდი: №01.13.07.023.053.01.526) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

მოქალაქე ნათელა წულუკიძეს (პ/ნ 54001003405) სიმბოლურ ფასად გადაეცემა საკუთრებაში დავით აღმაშენებლის გამზირი №189-ში მდებარე 30,40 კვმ ფართი.

მომხრე-6 გოჩა თევდორაძემ და ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით, რეკომენდაცია მიეცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, მარუაშვილის ქ.№50-ში (საკ/კოდი: №01.16.02.014.10) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

აღნიშნულ მისამართზე მდებარე ფართები, რომლებსაც მოქალაქეები დიდი ხნის განმავლობაში ფლობენ და სარგებლობენ გადაეცემათ საერთო ჯამში 552,45 კვმ ფართი. სულ წარმოდგენილია 11 ოჯახი.

საკითხთან დაკავშირებით დავით უთმელიძემ კომისიის წევრებს გააცნო, რომ ერთ-ერთ მოქალაქეს, კობა მოსიაშვილს საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით საკუთრებაში

უფიქსირდება სოფ. მატანში მიწის ნაკვეთი. თუმცა ეს მოქალაქეც გამგეობის ინფორმაციით დიდი ხანია ცხოვრობს ამ მისამართზე და თბილისში პიროვნებას სხვა ქონება არ უფიქსირდება.

მომხრე-6 გოჩა თევდორაძემ და ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით, რეკომენდაცია მიეცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ხუდადოვის ქ.№173, კორპ.№4-ში (საკ/კოდი: №01.16.09.001.004) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

აღნიშნულ მისამართზე 6 ოჯახს გადაეცემა საერთო ჯამში 321,15 კვმ საცხოვრებელი ფართი. მოქალაქეები გამგეობის ინფორმაციით დიდი ხნის განმავლობაში ფლობენ და სარგებლობენ ამ ფართებით, ასევე გააჩნიათ სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტები: ორდერები, მიღება-ჩაბარების აქტები და სხვა.

მომხრე-6 გოჩა თევდორაძემ და ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით, რეკომენდაცია მიეცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, სანდრო ეულის ქ.№3-ში მდებარე 834 კვმ მიწის ნაკვეთის (ს/კ:№01.14.05.007.467) და ქალაქ თბილისში, სანდრო ეულის ქ.№3-ში მდებარე 8520 კვმ მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული №1, №2, №3, №4 შენობა-ნაგებობების (ს/კ: №01.14.05.007.059) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის განმარტებით 2009 წელს ვენერა ალიშევამ შპს „ჟოკი კლუბისაგან“ შეისყიდა N01.10.16.004.100, N01.10.16.004.098, N01.10.16.004.097 და N01.10.16.004.099 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთები, ჯამში 11 000 კვ.მ. ნასყიდობის ღირებულება შეადგენდა 1 188 320 აშშ დოლარს.

2011 წელს თბილისის მერიას და შპს „კავკასუს როულ პროჯექტს“ შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელებული სამუშაოების შედეგად (ჭავჭავაძის გამზირიდან რამიშვილის ქუჩამდე და ვერეს ხევის ახალი ავტომაგისტრალიდან თამარაშვილის ქუჩამდე დამაკავშირებელი სატრანსპორტო გზის და გვირაბის მოწყობის სამუშაოები), ახალი გზა გაყვანილი იქნა ვენერა ალიშევას საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე 1226,78 კვ.მ ფართობზე. გაყვანილმა გზამ ორ ნაწილად გაყო ერთიანი მიწის ნაკვეთი, რის გამოც არალიკვიდური გახდა დარჩენილი მიწის ნაკვეთებიც. აღნიშნულის შესახებ ალიშევა ჯერ კიდევ 2013 წლიდან წერილობით მიმართავდა მერიას და ითხოვდა მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, თუმცა მისი განცხადებები სათანადო რეაგირების გარეშე დარჩა. 2016 წლის 21 სექტემბერს ვენერა ალიშევამ სარჩელი აღძრა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის წინააღმდეგ, მატერიალური ზიანის სახით 450 527 აშშ დოლარისა (ოთხივე მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება) და მიუღებელი შემოსავლის სახით 89 858 აშშ დოლარის (ზიანის თანხის სადეპოზიტო ანგარიშზე განთავსებიდან პოტენციურად მისაღები სარგებელი) ანაზღაურების მოთხოვნით. დღეის მდგომარეობით ოთხივე მიწის ნაკვეთი, მათ შორის, გზის ნაწილიც, გაერთიანებულია ერთ საკადასტრო ერთეულად (N 01.10.16.004.218), რომელიც წარმოადგენს ვენერა ალიშევას საკუთრებას.

სასამართლო პროცესი გადადებულია მოსამზადებელ ეტაპზე, მორიგების მიზნით. 2018 წლის 20 დეკემბერს ვენერა ალიშევას წარმომადგენელმა ლაშა ჯამალაშვილმა მიმართა სსიპ ქონების მართვის სააგენტოს და გამოხატა მზადყოფნა უძრავი ქონებების გაცვლის თაობაზე შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში უარი თქვას მის მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოში შეტანილ სარჩელზე. სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნით, 01.10.16.004.241 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონება 2018 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეფასებულია 6 553 570 ლარად. ხოლო მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 01.14.05.007.059 კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი შეფასებულია 5 887 320 ლარად ხოლო 01.14.05.007.467.საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ღირებულება განისაზღვრა 665 532 ლარად.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

მომხრე-6 გოჩა თევდორაძემ და ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო. ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით, რეკომენდაცია მიეცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ბაგების სატყეო უბანში (ნაკვეთი №11/22); ქალაქი თბილისი, ბაგების სატყეო უბანი (ნაკვეთი №11/17) 800 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი: 01.14.08.011.173) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე

მოქალაქე ირინე ჟვანიამ მემკვიდრეობით მიიღო არველოდი ჟვანიას საკუთრებაში არსებული 594 კვ.მ. უძრავი ქონება. სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მემკვიდრეობის საფუძველზე, მის საკუთრებაში დარეგისტრირდა ქ. თბილისში დაბა წყნეთი, სტალინის ქუჩის ბოლოში (ნაკვეთი N18) 594 კვ.მ მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 01.20.01.117.002) ნაკვეთი. მოქალაქემ სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს ამონაწერთან ერთად მოთხოვა მიწის ნაკვეთის საკადასტრო გეგმა და წარადგინა აზომვითი ნახაზი, აღნიშნულის შედეგად სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურმა 09.06.2008 წლის N882008167868-03 გადაწყვეტილებით შეაჩერა რეგისტრაცია და ირინე ჟვანიას განუსაზღვრა დამატებით წარედგინა კორექტირებული აზომვითი ნახაზი, რადგან მის დანტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთი ზედდებამი ხვდებოდა საჯარო რეესტრში უკვე რეგისტრირებულ ნაკვეთთან. აღნიშნული გადაწყვეტილება წარმოების შეჩერების თაობაზე გასაჩივრებულ იქნა ირინე ჟვანიას მიერ სასამართლოში. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილით ირკვევა, რომ კანონიერ ძალაშია ის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები და სარეგისტრაციო ჩანაწერი, რომლებიც განხორციელებულია კანონმდებლობის შესაბამისად და ადასტურებენ, რომ ირინე ჟვანიას მემკვიდრეობის უფლების რეგისტრაციამდე საჯარო რეესტრში რეგისტრირებული იყო არველოდი ჟვანიას საკუთრების უფლება დაბა წყნეთში სტალინის ქუჩის ბოლოს მდებარე 594 კვ.მ N18 მიწის ნაკვეთზე და არველოდი ჟვანიას საკუთრების უფლების სარეგისტრაციო ჩანაწერი არ გაუქმებულა. უზენაესი სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ გადაწყვეტილების მიღების მომენტში სახეზე იყო დროის სხვადასხვა მონაკვეთში წარმოშობილი სხადასხვა პირის საკუთრების უფლება. საკასაციო პალატამ ირინე ჟვანიას საკუთრების უფლების რეალიზების მიზნით სავალდებულო მოწვევით მესამე პირად ჩართო ქ. თბილისის მერია, ვიანიდან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ხვდებოდა (გარდაბნის

მუნიციპალიტეტის უფლებამონაცვლე) დაბა წყნეთის ტერიტორია. საკასაციო პალატამ მხარეებს შესთავაზა მორიგება მიწის ნაკვეთის მონაცვლეობაზე.

2018 წლის 19 დეკემბერს ირინე ჟვანიამ განცხადებით მიმართა სააგენტოს და გამოხატა თანხმობა სააგენტოს მიერ შეთავაზებულ , ბაგების სატყეო უბანში (ნაკვეთი N11/22); ქალაქი თბილისი, ბაგების სატყეო უბანი (ნაკვეთი N11/17) 800 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.14.08.011.173) მისთვის გადაცემაზე იმ პირობით რომ თუ გამოვლინდებოდა ფასთა სხვაობა 01.20.01.117.002 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთსა და 01.14.08.011.173 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებს შორის მის მიერ გადახდილი იქნება აღნიშნული სხვაობა. ხოლო იმ შემთხვევაში თუ საჯარო რეესტრში საკუთრების უფლების რეგისტრაციას დაქვემდებარებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება აღემატება თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ შეთავაზებულ მიწის ნაკვეთის ღირებულებას აღნიშნულ სხვაობასთან დაკავშირებით თბილისის მუნიციპალიტეტის მიმართ არ ექნება პრეტენზია.

სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნით თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის(ს/კ: 01.14.08.011.173) საბაზრო ღირებულება/საწყისი საპრივატიზებო საფასური საორიენტაციოდ შეადგენს 170 400 ლარს, ხოლო ირინე ჟვანიას საკუთრებაში არსებული მიწის(ს/კ: 01.20.01.117.002) ნაკვეთის ღირებულება ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით არის 174 636 ლარი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

მომხრე-6 გოჩა თევდორაძემ და ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით, რეკომენდაცია მიეცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, თამარაშვილის შესახვევი №8-ის მიმდებარედ, თამარაშვილის შესახვევი №6-ში თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 821 კვმ მიწის ნაკვეთის და შენობა-ნაგებობა №3-ის (ფართით 30კვმ), შენობა-ნაგებობა №8-ის (ფართით 28.89 კვმ), შენობა-ნაგებობა №4-ის (ფართით 69.53 კვმ(მ.შ. სარდაფი 11.46 კვმ I სართულზე 58.07 კვმ)) , შენობა-ნაგებობა №5-ის (ფართით 21.01 კვმ); შენობა-ნაგებობა №9-ის (ფართით 3.47 კვმ); შენობა-ნაგებობა №1-ის (ფართით 2.09 კვმ); შენობა-ნაგებობა №7-ის (ფართით 29.37 კვმ) და შენობა-ნაგებობა №6-ის (ფართით 33.81 კვმ)(საკ/კოდი: 01.14.07.008.137) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და იამზე მაისაიასა(პ/ნ 62001007924) და ნონა ბაქრაძესთან (პ/ნ 01008030050) გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტის შეთანხმების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის განმარტებით, თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 9 აგვისტოს №29.14.587 განკარგულებისა და თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 აგვისტოს №323 განკარგულების საფუძველზე თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით ქონების მართვის სააგენტოსა და იამზე მაისაიას (პ/ნ: 62001007924) და ნონა ბაქრაძეს (პ/ნ: 01008030050) შორის 2017 წლის 4 ოქტომბერს გაფორმდა „უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულება, რომლის თანახმად ერთ-ერთ საპრივატიზებო პირობად განისაზღვრა „თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ №01.14.07.008.112 და №01.14.07.008.012 საკადასტრო ერთეულების გაერთიანების შედეგად წარმოქმნილ საკადასტრო ერთეულზე (საკადასტრო კოდი: 01.14.07.008.137) მშენებლობის

ნებართვის გაცემის შემდეგ, მაგრამ არაუგვიანეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 6 თვისა თბილისის მუნიციპალიტეტისათვის 155 000 აშშ დოლარის (ეკვივალენტით ლარში) გადახდა, წინააღმდეგ შემთხვევაში ხელშეკრულება ჩაითვლებოდა შეწყვეტილად. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 25 აპრილის №18.263.420 განკარგულებისა და თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 4 მაისის №83 განკარგულების საფუძველზე სააგენტოს და იამზე მაისიას და ნონა ბაქრაძეს შორის 2018 წლის 15 მაისს გაფორმებული შეთანხმებით უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურის გადახდის ვადა განისაზღვრა 2018 წლის 4 სექტემბრამდე. ვინაიდან, იამზე მაისიამ და ნონა ბაქრაძემ არ შეასრულეს 2017 წლის 4 ოქტომბერს გაფორმებული „უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.3 პუნქტით დადგენილი საპრივატიზებო პირობა („მყიდველების“ მხრიდან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის 155 000 (ასორმოცდათხუთმეტი ათასი) აშშ დოლარის (ეკვივალენტით ლარში) გადახდა 2018 წლის 4 სექტემბრამდე) ხელშეკრულების მერვე მუხლის 8.1 პუნქტის თანახმად ხელშეკრულება შეწყდა. 2018 წლის 19 ოქტომბერს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს ერთობლივი განცხადებით მომართეს იამზე მაისიამ და ნონა ბაქრაძემ, სადაც მითითებულია, რომ მათ და შპს „მეტრო პროექს“ (ს/ნ: 400228160) და შპს „მონოლითი 1“-ს (ს/კ: 405199315) შორის 2018 წლის 1 ივნისს გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, თბილისის მუნიციპალიტეტის მიმართ იამზე მაისიასა და ნონა ბაქრაძის მიერ ნაკისრ ვალდებულებას - 155 000 აშშ დოლარის (ეკვივალენტით ლარში) გადახდას 2018 წლის 4 სექტემბრამდე უზრუნველყოფდნენ შპს „მეტრო პროექს“ და შპს „მონოლითი 1“, თუმცა გარკვეული მიზეზების გამო ნაკისრი ვალდებულება დათქმულ ვადაში მათ ვერ შეასრულეს და ითხოვენ უძრავი ქონების განმეორებით გადაცემას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

მომხრე-6 გოჩა თევდორაძემ და ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით, რეკომენდაცია მიეცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზ.№27 ბ-ში მდებარე 64 კვმ მიწის ნაკვეთიდან (ს/კ:01.10.15.007.145) 40 კვმ მიწის ნაკვეთის სს „დი ენდ ბი საქართველოსთვის“ (ს/კ 404917131) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე.

სს „დი ენდ ბი საქართველოსთვის“ იჯარით გადაეცემა ვაჟა-ფშაველას გამზ.№27 ბ-ში მდებარე 64 კვმ მიწის ნაკვეთიდან (ს/კ:01.10.15.007.145) 40 კვმ მიწის ნაკვეთი 5 წლის ვადით, ღია კაფეს მოსაწყობად. კომპანია მიმდებარედსაკუთრებაში ფლობს 187,16 კვმ ფართს. წლიური საიჯარო ქირაა 6000 ლარი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

მომხრე-6 გოჩა თევდორაძემ და ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით, რეკომენდაცია მიეცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ჭავჭავაძის ჩიხი №37-ის მიმდებარედ არსებული უძრავი ქონების (ს/კ: 01.14.14.005.163) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე. №12-0319018-03 10.01.2019წ

შპს „ბი ეს არ - სი დი ჯი დეველოპმენტის“ (ს/ნ: 204513687) დირექტორმა 2018 წლის 8 აგვისტოს განცხადებით მიმართა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას უძრავი ქონების მონაცვლეობის წინადადებით. კომპანიის საკუთრებას წარმოადგენდა ქ. თბილისში, ნუცუბიძის ქუჩისა და ინტენსიფიკაციის გზას შორის მდებარე 10265 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობით (საკადასტრო კოდი: N01.14.15.001.378). ეს ტერიტორია წარმოიქმნა აუქციონზე შეძენილი უძრავი ქონების (ს/კ: N01.14.15.001.315) და კომპანიის სხვა მიწის ნაკვეთში გაცვლის შედეგად კომპანიის საკუთრებაში მიღებული ნაკვეთების (ს/კ: N01.14.15.001.314; N01.14.15.001.316) გაერთიანებით. როგორც კომპანიის დირექტორი განმარტავს, ტერიტორიაზე დაგეგმილი იყო მრავალბინიანი საცხოვრებელი შენობების აშენება, რასთან დაკავშირებითაც, არაერთხელ მიმართა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას, შესაბამისი გრგ-ს დავალების მიღების თაობაზე. ტერიტორიის სამშენებლო განვითარება გააპროტესტა მომიჯნავედ მცხოვრებმა მოსახლეობამ. მოსახლეობა მიიჩნევს, რომ კომპანიის საკუთრებაში არსებული ტერიტორიის ნაწილი არის მათ მიერ გამწვანებული. წლების განმავლობაში ხდებოდა აღნიშნულ ტერიტორიაზე მათ მიერ ნერგების დარგვა და გამწვანების სამუშაოების წარმოება. მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ ტერიტორია წარმოადგენს კერძო საკუთრებას, მოსახლეობამ არაერთხელ მიმართა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას, ტერიტორიისთვის სარეკრეაციო სტატუსის მინიჭების მოთხოვნით. ამ გარემოებების გამო პროცედურულად ფერხდებოდა ტერიტორიაზე კომპანიის მიერ დაგეგმილი სამშენებლო განვითარების საკითხის შეთანხმება თბილისის არქიტექტურის სამსახურთან, რის გამოც ზარალდებოდა კომპანიის კანონიერი ინტერესები. ამავე დროს, როგორც კომპანია აღნიშნავს, ეს გარემოება ხელს უშლის აუქციონზე შეძენილი უძრავი ქონების (ს/კ: N01.14.15.001.315) მიმართ განსაზღვრული აუქციონის პირობების შესრულებასაც. მოსახლეობის პოზიციის გათვალისწინებით, კომპანიამ მზადყოფნა გამოთქვა, დათმოს მისთვის სასურველი ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელსაც გამწვანებულ სივრცედ განვითარების შესაძლებლობის მქონე არეალად განიხილავს მოსახლეობა და სანაცვლოდ ითხოვა თბილისში, ჭავჭავაძის ჩიხი #37-ს მიმდებარედ არსებული 1590 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობები (ს/კ: N01.14.14.005.163). უძრავი ნივთები შეფასდა საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ. ექსპერტიზის დასკვნით, ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ქუჩისა და ინტენსიფიკაციის გზას შორის მდებარე 3839 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: N01.14.15.001.390) საბაზრო ღირებულება, 2018 წლის 19 სექტემბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 2091143 ლარის ოდენობით. ხოლო ქალაქ თბილისში, ჭავჭავაძის ჩიხი N37-ის მიმდებარედ/ქალაქ თბილისში, ჭავჭავაძის ჩიხი N37-ში მდებარე 1590 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული N1, N2, N3 შენობა-ნაგებობების (ს/კ: #01.14.14.005.163) საბაზრო ღირებულება, 2018 წლის 13 დეკემბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 1 860 300 ლარის ოდენობით. საკითხი სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

მომხრე-6; წინააღმდეგი- ირაკლი ნადირაძე. გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით, რეკომენდაცია მიეცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის დასახლება, შალვა ახალციხელის ქუჩა №35-ში არსებული 387 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი: 01.10.07.001.052) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

ბესიკ ჭუმბურიძემ (პ/ნ 01026007893) 2018 წლის 13 ოქტომბრის განცხადებით ითხოვა მის დაინტერესებაში არსებულ უძრავ ქონებასთან დაკავშირებული პრობლემის მოგვარება, რომელიც დაკავშირებულია გლდანის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის 1989 წლის 11 იანვრის N15 გადაწყვეტილებით მისთვის გამოყოფილი უძრავი ქონების რეგისტრაციასთან. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილებით, სხვა პირებთან ერთად, ინდივიდუალური სახლების ასაშენებლად, ბესიკ ჭუმბურიძეს დიდ დიღომში გამოეყო მიწის ნაკვეთი (N36). ასევე წარმოდგენილია ქალაქ თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მთავარი არქიტექტურულ-დაგეგმარებითი სამმართველოს 1989 წლის 20 ივნისის N30 სამშენებლო პასპორტი აღნიშნული პირის სახელზე, ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონი „დიდი დიღმის“ საცხოვრებელ რაიონში არსებულ N36 მიწის ნაკვეთზე. მოქალაქე აღნიშნავს, რომ უძრავი ქონების საკუთრებად რეგისტრაციის მიზნით, 2009 წლის 24 მარტის N882009020235-06 სარეგისტრაციო განცხადებით მიმართა საჯარო რეესტრს. სარეგისტრაციო წარმოებისას გამოვლინდა ზედდება N01.10.07.003.006 და N01.10.07.003.008 საკადასტრო ერთეულებთან. მითითებულ საკადასტრო ერთეულებთან ზედდების გამოვლენის შემდგომ, განმცხადებლის დაინტერესებაში არსებული უძრავი ქონება, დარეგისტრირებული იყო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად და განიკარგა აუქციონის ფორმით. ამ ეტაპზე N01.10.07.003.552 საკადასტრო ერთეული წარმოადგენს შპს „სახლი დიღომში“ საკუთრებას. ბესიკ ჭუმბურიძემ 2018 წლის 19 დეკემბრის დამატებით მიმართა სააგენტოს და გლდანის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის 1989 წლის 11 იანვრის N15 გადაწყვეტილებით მისთვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის მოთხოვნის დათმობის სანაცვლოდ ითხოვა ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის დასახლება, შალვა ახალციხელის ქუჩა N35-ში არსებული 387 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.07.001.052) საკუთრებაში გადაცემა. ამასთან აღნიშნა, რომ საკუთრებაში გადაცემას დაქვემდებარებული ნაკვეთის საბაზრო ღირებულებას შორის სხვაობის გამოვლენის შემთხვევაში, იგი გადაიხდის სხვაობის არანაკლები ოდენობით მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ განსაზღვრულ საპრივატიზებო საფასურს. ხოლო, თუ საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით რეგისტრაციას დაქვემდებარებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება აღემატება სანაცვლოდ გადასაცემი უძრავი ქონების ღირებულებას, ამ სხვაობასთან დაკავშირებით არ ექნება არანაირი პრეტენზია თბილისის მუნიციპალიტეტის მიმართ. მიწის ნაკვეთები შეფასდა საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ. ექსპერტიზის დასკვნით, ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის დასახლება, შალვა ახალციხელის ქუჩა N35-ში არსებული 387 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.07.001.052) საბაზრო ღირებულება, 2018 წლის 18 დეკემბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 18576 (თვრამეტი ათას ხუთასსამოცდათექვსმეტი) ლარის ოდენობით. დიდი დიღმის დასახლებაში, შ. ახალციხელის ქუჩაზე მდებარე, 2009 წელს მომზადებული სიტუაციური ნახაზის მიხედვით 252 კვ.მ მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება, 2018 წლის 18 დეკემბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 16380 (თექვსმეტი ათას სამასოთხომოცი) ლარის ოდენობით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

მომხრე-6; გოჩა თევდორაძემ და ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით, რეკომენდაცია მიეცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს:ქ. თბილისში, ტაბიძის ქუჩა N10-ის მიმდებარედ არსებული 173კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ N01.15.05.075.015) შპს „ფუდ ანდ ბევერიჯ ჯორჯიასთვის (ს/კ 405190742) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 4 ივლისის N18.492.792 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

ირაკლი თავართქილაძის განმარტებით, ქ.თბილისში, ტაბიძის ქუჩა №10-ის მიმდებარედ არსებული 173 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.15.05.075.015) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაეცა შპს „ფუდ ენდ ბევერიჯ ჯორჯიას“ (ს/კ: 405190742), ღია კაფის განთავსების მიზნით, 2022 წლის 1 მაისამდე ვადით. წლიური საიჯარო ქირის საფასური განესაზღვრა 16 700 ლარი. საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოს, 2018 წლის 15 ოქტომბრის განცხადებით მიმართა შპს „ფუდ ენდ ბევერიჯ ჯორჯიას“ დირექტორმა და ითხოვა თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 2018 წლის 31 ივლისის №ბ.01182125 ბრძანებაში ცვლილების შეტანა და ქალაქ თბილისში, ტაბიძის ქუჩა №10-ის მიმდებარედ არსებული 173 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ნაცვლად 56 კვ.მ მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემა, ღია კაფის მოსაწყობად. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნით, დაინტერესებაში არსებული 56 კვ.მ. მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირის საორიენტაციოდ განისაზღვრა 6 720 ლარით. თბილისის მთავრობას შესაძლებლად მიაჩნია განხილულ იქნეს ქ. თბილისში, ტაბიძის ქუჩა №10- ის მიმდებარედ რეგისტრირებული 173 კვ.მ მიწის ნაკვეთის ნაცვლად მოთხოვნილი 56 კვ.მ მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემის საკითხი, საიჯარო ქირის წლიური საფასურით - 6 800 (ექვსი ათას რვაასი) ლარის ოდენობით.

საკითხთან დაკავშირებით შეკითხვა ქონდა დავით უთმელიძეს, რაზედაც მას განმერტა, რომ კომპანიას არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურების მიერ არ მიეცა მებართვა იჯარით აღებული დანარჩენი ტერიტორიის გამოყენებაზე.

მომხრე-6 ; გოჩა თევდორაძემ და ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით, რეკომენდაცია მიეცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

სხდომა გამოცხადდა დახურულად.

სხდომის თავმჯდომარე

დავით უთმელიძე